1. თამარ გაგოშიძე -კომისიის თავმჯდომარე - ფსიქოლოგიური კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი;

2. მზია წერეთელი - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

3. კახაბერ ჭეიშვილი - რექტორის მოადგილე;

4. გიორგი შამათავა - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე;

5. შორენა მამუკაძე - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

6. ეთერ ბლიაძე - პერსონალის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

7. მარიამ ფანჯიკიძე - კომისიის მდივანი - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიური კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის სუპერვიზორი, ასისტენტ-პროფესორი;

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ფსიქოლოგი კონსულტანტის (0.5 განაკვეთი) შტატგარეშე პოზიციაზე კანდიდატის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ფსიქოლოგი კონსულტანტის (0.5 განაკვეთი) შტატგარეშე პოზიციაზე კანდიდატის შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

ა) საკონკურსო წესით სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ფსიქოლოგი კონსულტანტის (0.5 განაკვეთი) შტატგარეშე პოზიციაზე კანდიდატის შერჩევა.

ბ) კომისიას მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შესაბამისი დარგის ექსპერტი/ექსპერტების მოწვევა.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი:

ა) კომისია დაუსწრებლად აფასებს კონკურსანტის მონაცემთა შესაბამისობას უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ფსიქოლოგი კონსულტანტის თანამდებობრივ მოთხოვნებთან. აპლიკანტები, რომელთა მიერ წარმოდგენილი საბუთებიც სრულყოფილი იქნება და დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლიან გასაუბრებას.

ბ) აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

გ) საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს ურთიერთშეაჯერებს, აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას. რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში (გასაუბრების ჩატარების შემთხვევაში, შეფასება ასევე უნდა ემყარებოდეს გასაუბრების შედეგებს).

დ) შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ფსიქოლოგი კონსულტანტის (0.5 განაკვეთი) შტატგარეშე პოზიციაზე შერჩეულად ჩაითვლება, ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

ე) კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად